№1 შემაჯამებელი დავალების ანალიზი

კლასი: XI გ
საგანი: მსოფლიო კულტურა
პედაგოგი: მარიამ გურგენიძე
შემაჯამებელი დავალების ჩატარების თარიღი: 28/10/2019
შემაჯამებელი სამუშაოს შესრულების ფორმა: ესე

შემაჯამებელი დავალების პირობა და ესგ-ს შედეგები

N	**შემაჯამებელი დავალების საკითხი**	**შემაჯამებელი დავალების პირობა**	**საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება**
1	კულტურის უნივერსალიები.	მოსწავლემ უნდა იმსჯელოს სხვადასხვა კულტურაში არსებული უნივერსალური ფაქტორების შესახებ და ამ მსჯელობის ფონზე გამოკვეთოს ინდივიდუალური განსხვავებები..	**ს.გ. XI** 8 მოსწავლე იკვლევს და განმარტავს კონტექსტის გავლენას კონკრეტულ კულტურის შექმინს და ჩამოყალიბების პროცესში.
	სოციალური აგენტების როლი ადამიანის კულტურულ არსებად ჩამოყალიბებაში.	ადამიანის როგორც კუკლტურული არსების ჩამოყალიბების პროცესში არსებული მნიშვნელოვანი ფაქტორები და სოციალური აგენტების როლი აღნიშნულ პროცესში.	ს.გ. XI 9 მოსწავლე იკვლევს კულტურის კონტექსტის გავლენას ადამიანის კულტურულ არსებად ჩამოყალიბების პროცესში.

I ვარიანტი ----ესე :" ოჯახი- როგორც მნიშვნელოვანი სოციალური აგენტი ადამიანის კუკტურულ არსებად ჩამოყალბების პროცესში"

II ვარიანტი-----ესე:" კულტურის უნივერსალიები"

შემაჯამებელი დავალების კრიტერიუმები

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ იმსჯელონ სხვადასხვა კულტურაში არსებული მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნების შესახებ. გამოკვეთონ კულტურის უნივერსალიები და იმსჯელონ ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ.

მოსწავლეებმა შეძლონ განსაზღვრონ სოციალური აგენტების როლი ადამიანის კულტურულ არსებად ჩამოყალიბების პროცესში და განიხილონ კონკრეტული მაგალითების საფუძველზე გამოიყენონ ისტორიული და რელიგიური კონტექსტი.

ესეს შეფასების რუბრიკა

აღნიშნულ საგანში მოსწავლე ფასდება ჩათვლით, უნდა მიიღოს მინიმუმ 5 ქულა, რომ მიიღოს შეფასება „ჩათვლა.“

ქულები	კრიტერიუმები
1 /2 ქულა	დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.
3 / 4 ქულა	ესსეს სტრუქტურა არ შეესაბამება დასმულ ამოცანას, დარღვეულია ტექსტის ლოგიკა.
5 ქულა	ნაშრომში არ ჩანს განსახილველ საკითხთან შინაარსობრივი კავშირი, არ ჩანს სათანადო ინფორმირებულობა.
6 ქულა	მსჯელობა არადამაჯერებლადაა დასაბუთებული, არგუმენტები არ არის გამყარებული შესაბამისი მაგალითებით.
7 ქულა	მსჯელობა ნაწილობრივ ლოგიკური და თანმიმდევრულია, თუმცა არადამაჯერებელი.
8 / 9 ქულა	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტაცია არასაკმარისია, არ არის გამყარებული შესაფერისი მაგალითებით.
10 ქულა	მსჯელობა დასაბუთებულია დამაჯერებლად და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით, ნაშრომში მკაფიოდ ჩანს მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზი

მიღებული შედეგების ანალიზი

საკითხი შედგენილია პროგრამის მიხედვით და გათვლილია ე.ს.გ -ს მიზნებსა და შედეგებზე. დავალება მოიცავდა როგორც ფაქტობრივი მასალის ცოდნას, ასევე კონკრეტული მაგალითების დაკავშირებას კულტუროლოგიურ კონტექსთან, კონკრეტული მაგალითების ანალიზს, მის შესახებ მსჯელობას. მოსწავლეთა პასუხებმა აჩვენა, რომ ნაწილს გაუჭირდა საკითხის გააზრება და განხილვა კონტექსტში, მისი დაკავშირება ისტორიულ და რელიგიურ კონტექსტთან.ასევე დავალების შესრულება გეგმის მიხედვით:შესავალი,ძირითადი ნაწილი და დასკვნა. მოსწავლეთა ნაწილმა მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის გადმოცემა მოახერხა.

დასკვნა

ყენებულიდან გამომდინარე მოსწავლეებს სჭირდება გამოცდილება საკითხის შესახებ მსჯელობისა და დასკვნების გამოტანის.

რეკომენდაცია

- რა არის გასაუმჯობესებელი?
- გაუმჯობესების გზები.

აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას საჭიროა დავეხმარო მოსწავლეებს ამოიცნონ ეპოქა,შეაგროვონ ინფორმაცია იმ ისტორიული პერიოდისა და მოვლენების შესახებ, რომელმაც გავლენა იქონია კონკრეტული კულტურაში მიმდინარე პროცესებზე.დავეხმარო მათ შეძლონ საგანთა შორის კავშირის დამყარება.
იმსჯელონ, როგორ აისახება ეპოქა (იდეური და ეპოქალური სტილისტური ნიშნები) კულტურის იდენტობის ჩამოყალიბებაზე,კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე.
აღნიშნული მიზნის მიღწევაში ვფიქრობ დამეხმარება სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა - მოსწავლის და მასწავლებლის სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, თვალსაჩინოება, ტექნიკური საშუალებები, ინტერნეტსაიტები და სხვ.

პედაგოგის ხელმოწერა: მარიამ გურგენიძე